პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 მარტი, კვირა, 1987 წ.
№ 52 (9463) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ცენტრალური კომიტეტი მიმართავს საბჭოთა ხალხის ვაჟკაცობას. გახევებული ფორმების, მეთოდების, ჩვეულებების მსხვრევა არც ისე ადვილია, გარდაქმნისთვის უნდა ვიბრძოლოთ, გარდაქმნა უნდა დავიცვათ. აქ საჭიროა შეუპოვრობა, სიმტკიცე, პრინციპულობა, საჭიროა ნებისყოფაც და თავდადებაც.

არაერთხელ დადებულა სასწორზე საბჭოთა ხალხის ვაჟკაცობა, გამძლეობა და სიმედგრე და არაერთხელ მოუტანია ყოველივე ამას გამარჯვება. პარტია დარწმუნებულია, რომ ახლაც ასე იქნება".

საბჭოთა ხალხისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან.

## ღირსეულად შევხვდეთ ოქტომბრის დღესასწაულს

გუშინ ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისთვის მზადების შესახებ". ეს ისეთი დოკუმენტი არ გახლავთ, რომელთაც დიდი ხანია შევაჩვიეთ თვალი და ყური. მართალი შინაარსის ამ ორივე დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია როგორც წარსულის შეცდომებზე, ისე გარდაქმნის პირველ ნაბიჯებზე, ყველაფერი ისეა წარმოდგენილი, როგორც სინამდვილეშია.

„ძვირად დაგვიჯდა ჩვენი საზოგადოების მშენებლობის ლენინური პრინციპებიდან და მეთოდებიდან გადახვევა, სოციალისტური კანონიერების, პარტიასა და საზოგადოებაში ცხოვრების დემოკრატიული ნორმების დარღვევა, ვოლუნტარისტული შეცდომები, დოგმატიზმი აზროვნებაში, ინერცია პრაქტიკულ მოქმედებაში... ქვეყანა ამოძრავდა, ახალი ძალები შეიძინა, იწმინდება ზნეობრივი ატმოსფერო საზოგადოებაში. უფრო საინტერესო, მრავალფეროვანი ხდება სულიერი ცხოვრება. ყოველდღიურობის განუყოფელ ნიშნებად მკვიდრდება საჯაროობა და ალალმართლობა, კრიტიკა და მომთხოვნელობა" — ვკითხულობთ მიმართვაში.

საბჭოთა ხალხი ემზადება ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავის შესახვედრად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ნათქვამია, რომ იუბილისათვის მზადების დროს მთლიანად უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების, კულტურულ-მასობრივი მუშაობის აღმზრდელობითი შესაძლებლობანი. სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა უნდა უზრუნველყოს „დიდი ოქტომბრისადმი, საბჭოთა ხალხის გმირობისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმების გამართვა".

რესპუბლიკის ფიზკულტურული და სპორტული ორგანიზაციები, ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების, სპეციალისტთა მრავალრიცხოვანი არმია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დღეს ჩვენს ცხოვრებაში მიმდინარე გარდაქმნების ფერხულშია ჩაბმული. ისინი კვლავაც ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად, ხალხის კეთილდღეობის, მათი ჯანმრთელობის განმტკიცების სამსახურში და სპორტში მიღწეული შთამბეჭდავი წარმატებებით შევხვდეთ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავს.



## 23 მარტიდან

ტარდება მოძრავი თამაშების საკავშირო კვირეული, რომლის დევიზია „თამაშებიდან — სპორტში!".

კვირეული ტარდება წინასწარ გათვალისწინებული პროგრამით, მაგრამ ადგილებზე ეს პროგრამა უნდა გაამდიდრონ ტრადიციული ხალხური თამაშებით. კვირეულში მონაწილეთა ასაკი განუსაზღვრელია. გათვალისწინებულია აგრეთვე თამაშებში მოზარდებისა და მოზრდილების ერთდროული მონაწილეობა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატები
სამბო ⊙ ჩოგბურთი

## ჯემალ მჭედლიშვილის ოქროს მედალი



უზბეკეთის დედაქალაქ ტაშკენტში დაიწყო სამბისტთა საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი ათლეტები გამოდიან. გუნდები ვერ ჩამოიყვანეს მხოლოდ მოლდავეთმა და ლატვიამ.

„იუბილეინის" სპორტის სასახლეში ოქროს მედლებისთვის 247 სამბისტი იბრძვის, მათ შორის ცხრა სპორტის დამსახურებული ოსტატია, 44 საერთაშორისო კლასის ოსტატი და 165 სპორტის ოსტატი, ასეთი ძლიერი შემადგენლობა საკავშირო ჩემპიონატებში კარგა ხანია არ გამოსულა.

უკვე გათამაშდა მედლების კომპლექტები ხუთ წონაში. მოულოდნელობა არ მომხდარა. უმაღლესი ჯილდოები ფავორიტებმა დაისაკუთრეს, რომელთა შორის არის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ჯემალ მჭედლიშვილიც.

გთავაზობთ უკვე გამოვლენილ ჩემპიონთა გვარებს: 48 კგ — მსოფლიო ჩემპიონი ანდრეი ხოდირევი, 57 კგ — მსოფლიო ჩემპიონი ანტონ ნოვიკოვი, 68 კგ — ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ იაპრინცევი, 82 კგ — ევროპის ჩემპიონი ჯემალ მჭედლიშვილი, 100 კგ — ევროპის ჩემპიონი ვლადიმერ გურინი.

გუშინ ბრძოლაში ჩაებნენ დანარჩენი წონითი კატეგორიის სამბისტები.



## უძლიერესი უძლიერესთა შორის

ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით: ვლადიმერ გაბრიჩიძეს ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის ერთეულთა თანრიგში არ გაუმართლა. იმიტომ კი არა, რომ პირველივე შეხვედრა დათმო და უძლიერესთა ჯგუფს გამოეთიშა, არამედ იმიტომ, რომ ა. ვოლკოვი სასტარტო მატჩში გაბრიჩიძისათვის ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი და ძლიერი მეტოქე იყო. 18 წლის თბილისელს ეს შეხვედრა უბრძოლველად არ დაუთმია — პირველი პარტია მოიგო კიდეც, მაგრამ მერე და მერე ვოლკოვმა გამოცდილებით აჯობა.

ერთი სიტყვით, ამ მარცხის შემდეგ გაბრიჩიძეს უკეთეს შემთხვევაში მეცხრე ადგილის დაკავება შეეძლო და დაიკავა კიდეც. ოღონდ შედარებით იოლად — გადამწყვეტ შეხვედრაში მისი მეტოქე (ს. ლეონიუკი) სარბიელზე არ გამოცხადდა.

იხ. მე-4 გვ.

### 9 ტურის შემდეგ

გთავაზობთ საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატის IX ტურის შედეგებს: პოპოვი — ხოფერია 1:0, ჩაჩიბაია — გოგოლაძე 1:0, შალამბერიძე — გოგიჩაიშვილი 0:1, სიჭინავა — თეიმურაზიანი 0,5:0,5, ლეკვეიშვილი — ხეცურიანი 0,5:0,5, ლობჟანიძე — ლეჟავა 0,5:0,5. ტყებუჩავა — ნეჩაევისა და მანაგაძე — ტაბატაძის პარტიები გადაიდო.

9 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: დავით ჩაჩიბაია — 6 (1), ზაზა ხოფერია — 6, ბესო ხეცურიანი — 5,5, კახა შალამბერიძე, რომან სიჭინავა, გიორგი გოგიჩაიშვილი — 5-5.

ბექან ჩხაიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
სამტრედია.

### გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები



რაც უფრო ახლოვდება ქართულ ჭიდაობაში ქალაქების უბნებისა და სოფლების რესპუბლიკური პირველობის ფინალური ასპარეზობა, უფრო მეტად იზრდება ინტერესი ამ შეჯიბრებისადმი და მაღლდება მისი ავტორიტეტი. გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში მეოთხედფინალში მონაწილე გუნდების გამოსავლენად გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: ქისტაური (ახმეტა) — საფიჩხია (ქუთაისი) — 7:2: ხვედურეთი (ქარელი) — დიღომი (თბილისი) — 7:2; ბაზალეთი (დუშეთი) — მარტყოფი (გარდაბანი) 3:6.

ამ შეხვედრების შემდეგ გაიმართა წილისყრა, რომელმაც მეოთხედფინალში გუნდები ასე დააწყვილა: ხვედურეთი (ქარელი)—ვაყა (ხაშური); წილკანი (მცხეთა)—ქისტაური (ახმეტა). ეს გუნდები 21 მარტს შეხვდებიან ერთმანეთს. 28 მარტს კი იასპარეზებენ: ხოვლე (კასპი) — მარტყოფი (გარდაბანი); ციხისუბანი (გორი) — ძველი რუსთავი (რუსთავი). 4 აპრილს ნახევარფინალებია.

ვალენტინ ივანოვი:

## „თბილისში — როგორც საკუთარ მოედანზე"

18 მარტს თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი. მასპინძლის როლში ამჯერად მოგვევლინება მოსკოვის „ტორპედო", რომელიც შეხვდება საფრანგეთის ქალაქ ბორდოს ამავე

იხ. მე-3 გვ.

სურათზე: მოსკოველი ფეხბურთელები თბილისში.



ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

## ლიდერები ქულებს აგროვებენ

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის VII ტური ყველაზე ნაკლებშედეგიანი გამოდგა. სულ სამი პარტია დამთავრდა: კობაიძემ მოუგო თანდაშვილს, ქასოშვილი დაამარცხა ქეთევან მელაშვილმა, გაგნიაშვილ — ჩაიკოვსკაიას პარტია ყაიმით დამთავრდა. ვინაიდან ჩემპიონატში ბევრი შეხვედრა დარჩა დაუმთავრებელი, მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ზოგიერთი პარტია გუშინ დილით დასრულდა. გთავაზობთ მათ შედეგებს: გაგნიაშვილი — ნიკოლაძე 0:1, ტერელაძე — ლაგვილავა 0:1 (III ტური), ლანჩავა — ქასოშვილი 0:1 (IV ტური), ხუციშვილი — ჩაიკოვსკაია 0,5:0,5 (V ტური), კახიანი — ალიხანაშვილი 1:0, მახარაძე — ნიკოლაძე 1:0 (VII ტური).

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ნინო მელაშვილი — 5 ქულა (6 შეხვედრიდან), ქეთევან მელაშვილი — 4,5 (6-დან), ქეთევან კახიანი — 4 (1; 6-დან), ციური კობაიძე, ციალა ქასოშვილი — 4-4 (1-1; 7-7-დან), სოფიკო ნიკოლაძე — 3,5 (2; 7-დან).

უგუნურება! სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ თავხედობას, როცა შეურაცხყოფას აყენებენ ტურისტულ ბილიკებზე დასასვენებლად და ჯანმრთელობის გასაკაჟებლად გამოსულ ადამიანებს? დღეს ამ თემაზე გთავაზობთ ღია წერილს.

იხ. მე-2 გვ.

პროფკავშირების საკავშირო პირველობებზე: კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა

# საიმედო ცვლა

„ქართველმა მოჭიდავეებმა ჩამოიტოვეს ბელორუსიის, მოსკოვის, უკრაინის ძლიერი გუნდები და რუსეთის ფედერაციის ნაკრების შემდეგ არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავეს" — ადრე ასეთი ფრაზა ჭიდაობის მოყვარულთ არ აოცებდათ, ახლა კი იშვიათობა გახდა. საქმე ის არის, რომ იგი კლასიკურ ჭიდაობას ეხება.

ქალაქ ტამბოვში გაიმართა საკავშირო პროფკავშირების პირველობა 1969-70 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდმა, რომელიც 12 სპორტსმენით იყო დაკომპლექტებული, ოთხი პირველი, ერთი მეორე ადგილი მოიპოვა და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ფედერაციის ნაკრების შემდეგ მეორე საფეხური დაიკავა. მან გაუსწრო შეჯიბრების ფავორიტებს — უკრაინის, ბელორუსიისა და მოსკოვის გუნდებს. რუსეთის ფედერაციის ნაკრებს სამი ოქროს მედალი ხვდა, მაგრამ მეტი საპრიზო ადგილის წყალობით გაუსწრო ჩვენს ნაკრებს. შედეგი ალბათ სხვაგვარი იქნებოდა, რომ... გამარჯვებულს თითოეულ წონით კატეგორიაში საშუალოდ ათი სპორტსმენი არ ჰყოლოდა. სამაგიეროდ, ხუთივე ქართველმა სპორტსმენმა მოიპოვა საკავშირო პროფკავშირთა ნაკრებში გამოსვლის უფლება. ამასთან მათ სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულეს.

ახლა კი გაგაცნობთ გამარჯვებულებს წონითი კატეგორიების მიხედვით: გელა პაპაშვილი (46 კგ, მწვრთნელი ჯ. გაფრინდაშვილი), აკაკი ჩაჩუა (58 კგ, მწვრთნელი რ. გვენცაძე), რამაზ გადაბაძე (88 კგ, მწვრთნელი ო. ტატიშვილი), დავით კუპრაძე (115 კგ, მწვრთნელი თ. გალდავა). მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა ბორის ბერაძემ (97 კგ, მწვრთნელი დ. ლოლაძე). ყველა თბილისელია.

აი, რა გვითხრა ნაკრების მწვრთნელმა გურამ გულადიშვილმა: „დიდი ხანია ასეთი შედეგი არ გვქონია, იმედია, არც მომავალში შევირცხვენთ თავს, — კარგად მომზადება ხომ დიდ ასპარეზზე მოპოვებული წარმატებების წინაპირობაა, ტურნირში ბიჭებს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო რამაზ გადაბაძე. ამ ჭაბუკმა ტირასპოლში გამართულ ანალოგიურ შეჯიბრებებში ერთი წლით უფროსებშიც გამოიჩინა თავი. რამაზი ჩვენი ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია, იმედი მაქვს, საკმაო მონდომებას გამოიჩენს, რათა საბოლოოდ კარგ მოჭიდავედ ჩამოყალიბდეს. ასევე შეიძლება ითქვას სხვებზეც. მათი მომავალი მხოლოდ მონდომებულ შრომაზეა დამოკიდებული. ნაკრების მოსამზადებლად ჩემთან ერთად მუშაობდა ნოდარ ზვიადაძე. ახლა ბიჭებს საკავშირო ჩემპიონატში მოუწევთ გამოსვლა საკავშირო პროფკავშირების ნაკრების შემადგენლობაში. ტურნირი მარტის ბოლოს მოსკოვში გაიმართება".

**ვახტანგ ნადირაძე.**

• • •

**აბაკანში** ჩატარდა საკავშირო პროფკავშირების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაზე, რომელშიც 1965-68 წლებში დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირების ნაკრები 9 მოჭიდავით წარსდგა. მათგან ოთხმა პირველი ადგილი დაისაკუთრა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ჯამბულ ბეთაევმა (მწვრთნელი ვ. ნიკოლაძე, 74 კგ, თელავი), არკადი ეპრიკოვმა (მწვრთნელი შ. ახმედოვი, 82 კგ. თბილისი). თამაზ ინდუაშვილმა (მწვრთნელი ნ. სხიერელი, 100 კგ. გორი) და იოსებ მუზაშვილმა (მწვრთნელი ნ. სხიერელი, მძიმე წონა, გორი). ოთხივე სპორტსმენი შეყვანილია საკავშირო პროფკავშირების ნაკრებში, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველობისათვის ემზადება. (25-28 მარტი, კრასნოიარსკი).

საქართველოს ნაკრები გუნდი ამ შეჯიბრებისთვის მწვრთნელებმა: რონ დობორჯგინიძემ, თენგიზ ღამბაშიძემ და მერაბ მუზაშვილმა მოამზადეს.

## ასპარეზობენ არმიელები

**თბილისში** დამთავრდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში 1965-68 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. პირად ჩათვლაში ოქროს მედალი ჩვენმა თანამემამულემ ზაზა თურმანიძემ (130 კგ წონა) მოიპოვა. ამავე წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალიც ჩვენს წარმომადგენელს, კობა ლოჩოშვილს ხვდა წილად. 100 კგ. წონით კატეგორიაში მეორე ადგილი კობა კუპატაძემ დაისაკუთრა, დავით ხურციამ (82 კგ) კი ბრინჯაოს მედალი მიიღო. გუნდური გამარჯვება ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ნაკრებმა მოიპოვა.

**რევაზ დობორჯგინიძე.**

ღია წერილი რედაქციას

# რატომ გვაყენებენ შეურაცხყოფას?

ამ ბოლო ხანებში დიდი ყურადღება ეთმობა მოსახლეობაში მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების დანერგვას. ზოგიერთ სადირექტივო დოკუმენტში კონკრეტულადაა დასახული ჩვენს რესპუბლიკაში ტურიზმის განვითარების პერსპექტივები.

სამწუხაროდ, ამ მითითებებს ნაკლებად მოქნილი შემსრულებელი აღმოაჩნდა და ამიტომ ქვეით, თვითმოქმედ ტურიზმს აქტიური დასვენების ამ ყველაზე მასობრივ და ხელმისაწვდომ საშუალებას დღემდე ვერ ვიყენებთ ეფექტურად. დედაქალაქის და სხვა ქალაქების შემოგარენში კვირა დღეებშიც კი გულისმომკვლელი სიჩუმეა გამეფებული. ტურისტთა მცირე ჯგუფის აქა-იქ გამოჩენა, ანდა „ზემოდან დაგეგმილ" ლაშქრობაში ცალკეული დაწესებულებების წარმომადგენელთა მონაწილეობა, მდგომარეობას, ბუნებრივია, ვერ ცვლის.

ტურისტულ ლაშქრობებში მონაწილეობის ჩემმა 30-წლიანმა პრაქტიკამ და თვითმოქმედ ტურისტთა ახლოს გაცნობამ ერთი მეტად არასასიამოვნო ტენდენცია დამანახვა: მოსახლეობას პროგრესულად უვითარდება ტურიზმისადმი ინდიფერენტული განწყობილება. 20-30 წლის წინათ თბილისის შემოგარენში ორგანიზებული ტურისტული ჯგუფები გადიოდნენ, ახლა კი, კვირა დღეს. ნამდვილ ტურისტულ სეზონშიც კი, თითო-ოროლა კაცს თუ წააწყდებით. მიზეზის დადგენა არც ისე ადვილი საქმეა, მე მინდა მხოლოდ ერთ ნეგატიურ შემთხვევაზე გავამახვილო თქვენი ყურადღება.

საქმე ისაა, რომ ბოლო დროს ნიჰილისტები მოგვიმრავლდნენ. შეიძლება ტურიზმი არ გიყვარდეს და დასვენების სხვა სახე მოგწონდეს, მაგრამ რა უფლება გაქვს აბუჩად აიგდო ბუნების წიაღში დასასვენებლად გასული ადამიანები? სამწუხაროდ, ასე იქცევიან საგარეუბნო გზებზე გამოსული მძღოლები — ისინი დასცინიან სამანქანო გზებზე გამოსულ ტურისტებს.

ამის შესახებ მე პირადად არაერთხელ გამომითქვამს ჩემი აზრი გაზეთის, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით, გამოვსულვარ თავყრილობებზე, მაგრამ მსმენელთა მხოლოდ წუთიერი აღშფოთება თუ გამომიწვევია, საქმე უფრო შორს არ წასულა. ვაი, რომ ასეთმა ხულიგნურმა გამოხტომებმა დააფრთხო მოგზაურობის მოყვარულნი. ტურისტული ბილიკები დაცარიელდა, ამ ხუთი წლის წინ ერთი ტურისტული ჯგუფის წევრებს — ზურგჩანთამოკიდებულ ქალებს წოდორეთის ტბასთან მანქანით ამოსულმა შეზარხოშებულმა მოქეიფეებმა ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვები დაადევნეს, რომ იმ დღიდან ეს ქალები ტურისტულ ბილიკებს აღარ გაჰკარებიან და მალე ის ჯგუფი საერთოდ დაიშალა: ამას წინათ კიდევ ერთი აღმაშფოთებელი ფაქტის მოწმე გავხდი.

22 თებერვალს ჩვენი ტურისტული ჯგუფი ვერეს ხეობით ნაძვიაგორისაკენ მიემართებოდა. გზად ერთმა მანქანამ სახიფათოდ ჩაგვიქროლა. მძღოლს მანქანა გავაჩერებინეთ და ვუსაყვედურეთ. ეს იყო ჩვეულებრივი კონფლიქტი, რომელიც ხშირად ხდება მძღოლსა და ფეხით მოსიარულეს შორის. მაგრამ აი, მოგრიალდა „ვოლგა" და მკვეთრად დაამუხრუჭა. მანქანიდან გადმოსულმა ჩასუქებულმა კაცმა გვიყვირა: ეს მძღოლი საქმეს აკეთებს, აგარაკს იშენებს, თქვენ კი უსაქმოდ დაყიალობთო!

„მოყიალეთა" შორის იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორები, დოცენტები, მოწინავე ადამიანები. ჩვენი დროებითი გაოგნება მან გამარჯვების ნიშნად მიიჩნია და გზა განაგრძო. ჩვენ კრიჭაშეკრულნი და ხასიათგაფუჭებულნი ავუყევით ბილიკს. ის დღე ჩაგვიმწარდა და ლაშქრობა ჩაიშალა.

ვერ მოვისვენე და რესპუბლიკის ავტოინსპექციის დახმარებით იმ მძღოლის ვინაობა დავადგინე: გელაშვილი სოლომონ სიმონის ძე — არასაუწყებო დაცვის რიგითი მუშაკი, უპარტიო. მანქანის ნომერი რ-04-24-გრ. რესპუბლიკის ავტოინსპექციის უფროსის მოადგილის გივი ჩოხელის კაბინეტში მან ისევ უსაქმურები გვიწოდა, ხოლო როცა გავაფრთხილეთ, რომ ამ შეურაცხყოფას შეიძლებოდა მისთვის უსიამოვნება მოეტანა, ნიშნისმოგებით გვიპასუხა, „თქვენც ჩინ-მენდლები არ ჩამომართვათო".

დავსვათ რამდენიმე სამართლიანი კითხვა:

რამდენად სამართლიანი იქნება საზოგადოებრივი გაკიცხვის გარეშე დარჩეს ასეთი პიროვნება?

შეიძლება თუ არა იგი მუშაობდეს დაწესებულებაში, რომელიც ერთ-ერთი პირველი უნდა ასრულებდეს ზემდგომი ორგანოების მითითებას და წესრიგის დამყარებაზე ზრუნავდეს?

რატომ უნდა მოგვერიოს გელაშვილის მსგავსი ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ თუ კაცი პარტიის წევრი და პასუხისმგებელი მუშაკი არაა, და არც „ჩინ-მენდლები" აქვს, მას შეუძლია, რაც უნდა ის გააკეთოს იმის იმედით, რომ პასუხს არავინ მოსთხოვს?

დღეს, უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ჟამს, განა სწორი არ იქნება, რომ სათანადო ორგანოებმა დაადგინონ ამ საშუალო ხელფასის მქონე პიროვნებამ როგორ მოახერხა ბოლო მოდიფიკაციის „ვოლგისა" და აგარაკის შეძენა? განა ფაქტი არ არის, რომ სწორედ ასეთ უზრუნველყოფილ პირებს, რომელთაც „ცა ქუდად არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად", ადამიანების შეურაცხყოფა ცხოვრების ნორმად გაუხდიათ?

არ დადგა დრო, ავტოინსპექციამ ასეთ თავხედ მძღოლებს ყური აუწიოს? თავზეხელაღებული მძღოლი ადამიანს სიცოცხლეს უსწრაფებს, გელაშვილისნაირნი კი სულში შხამს გვაწვეთებენ და სიცოცხლეს გვიწამლავენ. ასეთ მძღოლებს მართვის უფლებაც უნდა ჩამოერთვას.

სამწუხაროდ, თავხედი ადამიანების ყოველი სიტყვა მაგიურად მოქმედებს სუსტი ნებისყოფის ადამიანებზე და ჩვენს მიერ გაწეულ პროპაგანდას ძალა ერთმევა. სხვა რა დაგვრჩენია? გელაშვილის მსგავსთ უნდა ვებრძოლოთ და მათი საქციელი მსჯელობის საგნად უნდა ვაქციოთ.

**ავთანდილ ციბაძე,**

**საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, პროფესორი.**

# ნამდვილი ფალავანი

ამ ფოტოსურათს, რომელიც 1952 წლის ოქტომბერში როსტოვშია გადაღებული, 35 წლის ისტორია აქვს და იმ დღეს გვახსენებს, როცა საქართველოს სამბისტთა ნაკრებმა მოსკოვისა და ლენინგრადის ძლიერ კოლექტივებთან ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა მოიპოვა. ძველი თაობის გულშემატკივრებს ამ ფოტოზე აღბეჭდილი მოჭიდავეები ემახსოვრებათ, მაგრამ მათ გვარებს მაინც შეგახსენებთ.

მეორე რიგში მარცხნიდან დგანან: ვალიკო პეტრიაშვილი, ავთანდილ ქველაძე, ოთარ შინჯიკაშვილი, დავით ჩაჩანიძე, შალვა ნოზაძე, ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები და ზურაბ დენტოშვილი. პირველ რიგში კი, ასევე მარცხნიდან: თენგიზ ელერდაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, გიორგი როსტიაშვილი, სიმონ მაისურაძე და ლავრენტი კაციაშვილი.

საიდან მოხვდა ამ ჯგუფში სიმონ მაისურაძე, — იკითხავთ ალბათ და მართალიც იქნებით, სიმონს ხომ ქართული ჭიდაობის ოსტატად ვიცნობთ? დიახ ეს ასეა, მაგრამ, მაშინ, 35 წლის წინათ, ჭიდაობის სახეობები არ იყო ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული და სპორტსმენებმაც დახმარებაც სხვანაირი, ნაღდი იცოდნენ. თავს არავინ ზოგავდა, ოღონდ საქმე არ წამხდარიყო და გუნდს სირცხვილი არ ეჭამა.

როსტოვში სიმონ მაისურაძემ მეექვსე ადგილი დაიკავა. არც ისე ბრწყინვალე შედეგი გახლდათ, მაგრამ გუნდის საერთო წარმატებაში სიმონმა გარკვეული წვლილი შეიტანა. ჩემპიონი მის წონაში მეორე ქართველი მოჭიდავე, შემდგომში სახელმოხვეჭილი ფალავანი ვახტანგ ბალავაძე გახდა. სიმონი არ იყო სამბისტი, მაგრამ ამ ჭიდაობისთვის საჭირო ილეთებს კარგად ფლობდა და როცა საჭირო იყო, ფონს ქართული ჭიდაობით გადიოდა.

ერთი სიტყვით, შეუდარებელი ოსტატი იყო. აკი ამიტომაც გახდა თერთმეტჯერ საქართველოს ჩემპიონი, ერთხელ კი, მართალია, წონა ხელს არ უწყობდა, აბსოლუტური ფალავნობაც მოიპოვა.

იყო დრო, ახმეტის რაიონს ქართული ჭიდაობის მექას უწოდებდნენ. ყველა სახელოვანი მოჭიდავე ან ახმეტიდან უნდა ყოფილიყო, ან რომელიმე მახლობელი სოფლიდან. სიმონი ახმეტის რაიონის სოფელ ჩაბინაანში დაიბადა, და როგორც ყველა იქაური ბიჭი, თავიდანვე ქართულმა ჭიდაობამ გაიტაცა. ნამდვილ ფალავნად მოგვიანებით მოგვევლინა, როცა არსენ მეკოკიშვილის, სანდრო კანდელაკის, არჩილ ონაშვილისა და სხვათა ჭიდაობა ნახა.

საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლის შემდეგ მისმა გატაცებამ ასე ვთქვათ, უფრო ორგანიზებული სახე მიიღო. ერთხელ ლენინის სახელობის დარბაზში გამოვიდა საჭიდაოდ. მისი მეტოქე ვახტანგ ბალავაძე იყო.

ამ შეხვედრას სიმონი ასე იგონებს: „ვახტანგის ფანდების ქება გაგონილი მქონდა, ამიტომ ჯიქურ კი არ გადავედი შეტევაზე, ფრთხილად მივუახლოვდი და ხელიც შეპარვით შევავლე. რა დაგიმალოთ, შუაკაურის გამოდება ასე უფრო მეხერხებოდა. ვახტანგმა უმალ მოისაზრა კონტრილეთი და ბრუნით გადაგდება დამიპირა. ამას ველოდი. მარჯვენა ხელი დინჯად გავითავისუფლე, მარჯვენა ბეჭზე დავაწექი, მარცხენა კი ქამარში ჩავავლე ლონივრად, მერე მთელი ძალით ამოვწიე და... გაოცებული მაყურებლების თვალწინ ქვეშ მოვიყოლე..."



ამ ხერხს სიმონი ხშირად იყენებდა. ერთხელ ამ ილეთით თვით ანზორ კიკნაძეც კი დაუმარცხებია.

1948 წელს სიმონ მაისურაძემ აბსოლუტურ პირველობაში გამოსვლა გადაწყვიტა. გაუგონარი სითამამე იყო. ფალავნობას, როგორც წესი, 80 კილოგრამზე მძიმე წონის მოჭიდავეები იჩემებდნენ, სიმონი კი 72 კილოგრამს იწონიდა. მაგრამ მსაჯებმა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მაინც მისცეს. ასპარეზობა თბილისის სახელმწიფო ცირკის შენობაში გაიმართა. თავიდან სიმონს ყურადღებას არც აქცევდნენ, სერიოზულ მეტოქედ არ მიაჩნდათ, მაგრამ მერე და მერე, როცა მძიმე წონის მოჭიდავეებიც წააქცია, შეცბნენ: „ასე თუ გაგრძელდა, ფალავნობასაც წაიღებსო". ვერ „წაიღო", სულ ბოლო შეხვედრაში ხელი შეეშალა, თუმცა პრიზიორი მაინც გახდა.

სიმონს ყველაზე მეტად ის უხაროდა, რომ ფალავნობისაკენ გაიკაფა გზა. ამიერიდან შეჯიბრებაში გამოსვლაზე უარს ვერ ეტყოდნენ.

1949 წელს თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და სტუდენტთა გუნდს ჩაუდგა სათავეში, რომელმაც სულ მალე ქალაქში უძლიერესის სახელი მოიპოვა, მაგრამ განზრახვაზე ხელი არ აუღია. უნდოდა ერთხელ მაინც გამხდარიყო აბსოლუტური ჩემპიონი. ერთი წლის შემდეგ აისრულა საწადელი. საშუალო წონის მოჭიდავე სიმონ მაისურაძე საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა.

თერთმეტი წლის მანძილზე თავის წონაში ტოლი არ ჰყავდა. უნიკალური შემთხვევაა. სიმონ მაისურაძეს ქართული ჭიდაობისადმი სიყვარული არც მერე განელებია, როცა სპორტს თავი მიანება. იგი დღესაც მთელი ენერგიით იბრძვის ამ ეროვნული სახეობის აღორძინებისთვის.

ამ ფოტომ ძველი თაობის სხვა სპორტსმენებიც გაგვახსენა, მომავალში მათზეც ვისაუბრებთ.

**ნოდარ გუგუშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

**გუშინ** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 5 მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

ლანჩხუთის „გურიამ" თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „სპარტაკი".

თამაში მოიგეს სპარტაკელებმა — 2:0.

სხვა შეხვედრათა შედეგები:

„**დნეპრი**" — „**ზენიტი**" 6:1
„**შახტიორი**" — „**ქაირათი**" 1:0
**ცსკა** — „**ჟალგირისი**" 2:2
„**ნეფთჩი**" — „**მეტალისტი**" 1:2

## ევროპის ჩემპიონთა თასზე

**კიევის** „დინამოს" ფეხბურთელთა მატჩის ისტორია ევროპის ჩემპიონთა თასზე თურქეთის „ბეშიქთაშთან" ყველამ კარგად იცის: თამაში 4 მარტს უნდა შემდგარიყო სტამბულში, მაგრამ აქაური სტადიონის საფეხბურთო მინდორზე თოვლის ისეთი საფარი იდო, რომ მსაჯმა თამაშის ჩატარება შეუძლებლად მიიჩნია. მეტოქეებმა უამინდობის გამო ვერც მომდევნო დღეებში ითამაშეს, უეფა-ს ხელმძღვანელობამ დირექტიული წესით საჭიროდ ცნო თამაშის ჩატარება 14 მარტს თურქეთის რომელიმე ქალაქში, სადაც საამისო პირობები იქნებოდა.

გუშინ სტამბულის „ბეშიქთაში" და კიევის „დინამო" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ, თურქეთის ქალაქ იზმირის ათათურქის სახელობის სტადიონზე.

საბჭოთა ფეხბურთელებმა მეტოქე დაამარცხეს დიდი ანგარიშით 5:0.

## „თბილისში — როგორც საკუთარ მოედანზე"

დასასრული

სახელწოდების გუნდს. როგორც ცნობილია, ტორპედოელები სტუმრად დამარცხდნენ მინიმალური ანგარიშით — 0:1.

ერევანში „არარატთან" საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მორიგი მატჩის შემდეგ მოსკოველები მეორე დღეს თბილისში ჩამოვიდნენ და სასტუმრო „აჭარაში" დაბინავდნენ. სანამ ფეხბურთელები ისვენებდნენ, გუნდის უფროს მწვრთნელს **ვალენტინ ივანოვს** საქინფორმის კორესპონდენტი ესაუბრა.

— როცა „საკუთარი" მოედანი უნდა ამერჩია, — ამბობს ვალენტინ ივანოვი, — უყოყმანოდ დავასახელე თბილისი. გუნდმა მთლიანად დაუჭირა მხარი ჩემს გადაწყვეტილებას.

**⊙ რას ემყარებოდა ეს არჩევანი?**

— თქვენს შესანიშნავ ქალაქთან ცხოვრებამ ოცდაათ წელიწადზე მეტი ხნის წინ დამაკავშირა. არაერთხელ ჩამოვსულვარ თბილისში, ათობით მატჩი მითამაშია ძველ მუდრო სტადიონზე. როგორც ფეხბურთელს მუდამ მახარებდა რაინდული მეტოქეობა „დინამოსთან" უმაღლეს დონეზე. დამამახსოვრდა ქართველი გულშემატკივრის — ფეხბურთის დიდი მცოდნის კეთილმოსურნეობა. მატჩები თბილისში ყოველთვის სადღესასწაულო ატმოსფეროში ტარდებოდა.

**⊙ მაგრამ თქვენ დინამოელებთან მარტო მეტოქეობა არ გაკავშირებდათ...**

— მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ვთამაშობდი შესანიშნავი ფორვარდების, მსოფლიო სახელის ფეხბურთელების მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის, აგრეთვე დიდებული მცველის გივი ჩოხელის მხარდამხარ. მათთან ერთად მოვიპოვე ევროპის თასი — 1960 წელს. ეს ჩემი სპორტული ბიოგრაფიის ყველაზე ღირსშესანიშნავი ფურცელია. თბილისში ბევრი მეგობარი მყავს და მახარებს ყოველი შეხვედრა მათთან.

**⊙ ახლანდელ თქვენს ვიზიტს კონკრეტული მიზანი აქვს — საპრესტიჟო ევროპული ტურნირის მომდევნო ტურში თამაშის უფლების მოპოვება.**

ვ. ივანოვმა აღნიშნა, რომ პირველი შეხვედრის შედეგით იგი ზომიერად კმაყოფილია, მაგრამ ამას ვერ იტყვის თავისი აღსაზრდელების თამაშის ხარისხზე.

— დღეს „ბორდო" თავისი შემადგენლობით კონტინენტის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, — ამბობს იგი. — სხვა ფრანგული კლუბებისაგან განსხვავებით „ბორდო" რაციონალური ფეხბურთის მიმდევარია და ძირითადად მოთამაშეების ფიზიკურ, ათლეტურ თვისებებზე ამყარებს იმედს. „ნაკლები ფანტაზია, მეტი გონება" — ასე აფასებენ თავიანთი გუნდის თამაშს თვით ფრანგი მიმომხილველები.

„ტორპედოს" მწვრთნელმა აღიარა, რომ „ბორდოს" ძალისმიერი თამაში მისთვის მოულოდნელი გამოდგა. მეტოქეთა შორის მან გამოჰყო თავდამსხმელები იუგოსლაველი ზლატკო ვუიოვიჩი და ფარეონი, აგრეთვე მთელი ნახევარდაცვა უბერებელი ტიგანას მეთაურობით.

— სწორედ შუა ხაზში დავუთმეთ ფრანგებს, — ამბობს ივანოვი, — ჩვენი ნახევარმცველების თამაშმა არც კავშირის ჩემპიონატის პირველ ორ მატჩში დამაკმაყოფილა. მაგრამ ჯერ გვაქვს დრო ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. „ბორდოს" სწრაფი, ათლეტური ფეხბურთი უნდა დავუპირისპიროთ. ვფიქრობ, ერთი ბურთის დეფიციტის გასწორება შეიძლება და ამის გაკეთებას შევეცდებით თბილისელი გულშემატკივრების მხარდაჭერით, რისი დიდი იმედიც გვაქვს.

თბილისში ტორპედოელებს გრილი ამინდი დახვდათ. ვ. ივანოვის აზრით ასეთ დარში თამაში არცთუ ისე ურიგოა. ევროპის ტურნირების სხვა მონაწილეებს ხომ გაცილებით მძიმე პირობებში, დათოვლილ მოედნებზე თამაში უწევთ.

— ჩვენ ვიცით, რა განიცადა თქვენმა რესპუბლიკამ წლევანდელ ზამთარში, — დასძინა მან საუბრის დასასრულს. — აღტაცებული ვართ ხალხის ვაჟკაცობით, მედგრად რომ დაუხვდა სტიქიას. ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, ტორპედოელებმა თქვენი გასაჭირი საკუთარ გასაჭირად აღიქვეს. შევეცდებით ჩვენი თამაშით კმაყოფილება მივანიჭოთ ქართველ მეგობრებს და ამით ერთგვარი მორალური მხარდაჭერა გავუწიოთ მათ.

**შალვა შალოლაშვილი,**
საქინფორმის კორ.



### გადარჩა...

საავტომობილო ავარიაში მოჰყვა ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი, რომელიც თავის ოჯახით იტალიის ქალაქ ტურინის მახლობლად მოგზაურობდა. თვით პლატინის და მის ვაჟს არაფერი დამართვიათ, მაგრამ მეუღლე და ქალიშვილი მცირედ დაშავდნენ.

### ყოველ 17 წუთში

კომპიუტერების ანალიზმა ცხადყო, რომ იტალიის 1986-87 წლების ჩემპიონატში ყოველ 17 წუთში ჯარიმდებიან მარადონაზე „მონადირენი".

ხსოვნა!



თბილისის „დინამოს" სტადიონზე. ქართველ და უკრაინელ თანაკლუბელთა ერთ-ერთი შეხვედრის წინ. გუნდების კაპიტნები — შოთა იამანიძე (მარჯვნივ) და ანდრეი ბიბა.

## ღირსეული სპორტსმენი, ღირსეული მოქალაქე

შოთა იამანიძის დაბადების დღე საქართველოში, თურმე, ბევრს სცოდნია.

**1937 წლის 15 მარტი!**

განა ყველას ბედნიერი ხვედრია მისი დაბადების დღე ხალხმა ასე ზეპირად და საგულდაგულოდ რომ იცოდეს? ეს ხომ მარტოოდენ რჩეულთა ბედია.

**1937 წლის 15 მარტი!**

ახლოვდებოდა ეს დღე, წერილებიც საკმარისად მოგვდიოდა რედაქციაში, ტელეფონითაც ხშირად გვირეკავდნენ — არ გამოგრჩეთ შოთა იამანიძის 50 წლისთავიო.

ახლა, როცა ეს ღირსეული სპორტსმენი, ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი გამოჩენილი დიდოსტატი, შესანიშნავი თვისებებით დაჯილდოებული, განსწავლული, ერის პატრიოტი მოქალაქე, ნიჭიერი ინჟინერი და პერსპექტიული სპეციალისტი, სამწუხაროდ, ცოცხალთა შორის აღარაა და ყველაფერს კარგს მისი მისამართით მარტოოდენ წარსულ დროში წარმოვთქვამთ, ყოველივე რაღაც განსაკუთრებული, საგანგებო, რომანტიკული და ლამაზი ბურუსითაა მოცული. ახლაც თვალწინ გვიდგას მისი ახოვანი, სპორტულად უნაკლო სხეული, ვაჟკაცური იერი, ნათელი შუბლი და ნათელი ღიმილი.

შოთა იამანიძე უყვარდა ყველას, მას ბაძავდნენ, მისი სჯეროდათ. როცა თბილისის „დინამოს" კაპიტანი 1964 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის თასით ხელში გადაიღეს, მისი გამოსახულება ქართული ფეხბურთის დიდ მიღწევათა წარუშლელ სიმბოლოდ იქცა მათთვისაც, ვისაც იგი მწვანე მინდორზე უშუალოდ ჰყავს ნანახი და მათთვისაც, ვინც მაშინ ბალღი იყო და მხოლოდ ლეგენდებით მოუსმენია ვინ იყო და რა იყო ეს ბრწყინვალე ფეხბურთელი.

დღეს, შოთა იამანიძის 50 წლისთავზე, კიდევ და კიდევ ვიხსენებთ ამ შესანიშნავ მოქალაქეს, იმ თაობას კი, ვისაც შ. იამანიძე ცხოვრებაში და საფეხბურთო მოედანზე არ უნახავს, გვინდა მოკლედ გავაცნოთ მისი სპორტული ბიოგრაფია.

ბავშვი იყო ფეხბურთის თამაში რომ დაიწყო თბილისში. მერე დრო დადგა და მაშინდელ ცნობილ 35-ე საფეხბურთო სკოლას მიაშურა. ეს ის ბედნიერი ხანა გახლდათ, როცა ამ სკოლაში ბრწყინვალე მოთამაშეთა მთელი პლეადა იზრდებოდა, ხალასი ტალანტები, რომელთაგანაც მსოფლიოს რომელიც გნებავთ რანგის პირველხარისხოვან კლუბს შექმნიდა ხეირიანი მწვრთნელი. ხეირიანი მწვრთნელი კი სკოლას მაშინ მართლაც ჰყავდა — არჩილ კიკნაძე.

ბავშვი იყო შოთა იამანიძე და იმთავითვე გამორჩეულად უყვარდათ ტოლ-მეგობრებს: ალალმართალი, ულალატო, დაუზარელი, კეთილი, ხალისიანიც და სერიოზულიც.

ოქროს მედლით დაამთავრა 35-ე სკოლა შოთა იამანიძემ და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა.

ფეხბურთი მისი დიდი გატაცება და უპირველესი სიყვარული გახლდათ, მაგრამ მშენებელი ინჟინრის პროფესიაც უანგარო გატაცების საგნად იქცა მისთვის.

კარგად გვახსოვს შოთა იამანიძემ ინტერვიუში რომ განუცხადა ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის კორესპონდენტს:

— **მე მშენებელი ვარ, დიდად მიყვარს ჩემი პროფესია და არაფერს დავიშურებ ამ დარგში ჯეროვნად დავხელოვნდე.**

ახალგაზრდა სპეციალისტმა ეს



ამ სურათზეც ტრადიციული მეტოქეების — თბილისისა და კიევის „დინამოს" საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი მატჩის მომენტია ასახული. მუქ მაისურებში თბილისელები არიან: მარცხნიდან — ბარქაია, ახათიანი და იამანიძე უტევენ მეტოქის კარს. აქვეა კიეველთა მცველები ხონხინი და შჩეგოლკოვი.

ფოტოები „ლელოს" არქივიდან.

სიტყვები ამაყად, დაჯერებულად თქვა.

ამას იმიტომ ვიხსენებთ, რომ ერთ პერიოდში, თამაში რომ დაამთავრა, შოთა იამანიძეს დაბეჯითებით თხოვდნენ სათავეში ჩადგომოდა თბილისის „დინამოს", მწვრთნელობისთვის მოეკიდა ხელი.

— **არა! — კატეგორიულად განაცხადა ინჟინერმა. — მწვრთნელობისა მე არაფერი გამეგება, არცა ვარ საამისოდ მზად და შეიძლება წავახდინო კიდეც ეს დიდი საქმე. სად გამოვყო მერე თავი!**

პრინციპული კაცი იყო შოთა იამანიძე.

ძნელია შეუცდომლად დაახასიათო ამ ვრცელი დიაპაზონის ფეხბურთელის თამაშის სტილი, შეეჭიდო მის ღირსებებს: შესანიშნავი დრიბლიორი, ჭკვიანი ტაქტიკოსი, ფიზიკურად გამძლე, ამტანი, სწრაფი, მახვილი კომბინაციური ალღოს, ინტუიციისა და რეაქციის მქონე, თვითაც დაუღალავი და სხვათა შემწეც. მიხეილ მესხმა ისე დაამთავრა თამაში, შოთა იამანიძის მსგავსი პარტნიორი არა ჰყოლია, ეს ორი გამორჩეული ხელოვანი საოცრებებს ქმნიდა მინდორზე.

14 სეზონი ითამაშა თბილისის „დინამოში" შოთა იამანიძემ. გუნდში იგი X კლასში რომ სწავლობდა, მაშინ მიიღეს, საკავშირო ჩემპიონატების 301 მატჩი ჩაატარა, ღირსეულად მეთაურობდა თავის თანაკლუბელებს მაშინაც, როცა 1964 წელს გუნდმა საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. არაერთხელ დაუმსახურებია ქვეყნის ჩემპიონატის პრიზიორის მედლები, საუკეთესო საბჭოთა ფეხბურთელთა სიაშიც ბევრჯერ დაუსახელებიათ, 1966 წელს კი მთავრობის ჯილდოც გადაეცა — მედალი „შრომითი მამაცობისთვის", 1967 წელს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

ფეხბურთის თამაში ადრე თუ გვიან თავდება. ასეთია მისი გარდუვალი წესი და კანონი. შოთა იამანიძეც წავიდა მწვანე მინდვრიდან და 1967 წლიდან თავისი სპეციალობით შეუდგა მუშაობას. აქაც გამორჩეული ორგანიზატორი გახლდათ, ენერგიული და მცოდნე, უნარიანად ედგა სათავეში ერთ-ერთ სოლიდურ სამშენებლო ორგანიზაციას

...და, აი, 1971 წელი, საბედისწერო საავტომობილო კატასტროფა... ჩვენი წუხილი და ნაღველი...

გვახსოვს შოთა იამანიძის სიტყვები იმ ზემოხსენებული ინტერვიუდან:

**შეკითხვა: ბოლო წლების მანძილზე თქვენს გუნდში რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალა: ვის თვისებებს აღნიშნავდით საგანგებოდ?**

**შ. იამანიძე:** ანდრო ჟორდანიას გაბედულად, შეუცდომელი ინტუიციით შეჰყავდა ძირითად შემადგენლობაში ახალგაზრდა ფეხბურთელები, მიხეილ იაკუშინი პრაქტიკულად ამზადებდა გუნდს საწვრთნელ ვარჯიშებზე, ამაში მას ტოლი არა ჰყავდა, გავრილ კაჩალინი კი ფსიქოლოგიურად განაწყობდა ფეხბურთელებს ყოველი მატჩისთვის, თეორიულად შესანიშნავად ამზადებდა მათ და ნამდვილ მამობრივ მზრუნველობასაც იჩენდა. ის ხშირად იმეორებდა: „მე თქვენგან ბევრ რამეს ვსწავლობ".

ფეხბურთისა ვისაც კი რამე გაეგება, ამაზე უკეთ ვერც დაახასიათებს ვერც ანდრო ჟორდანიას, ვერც მიხეილ იაკუშინს, ვერც გავრილ კაჩალინს.

**P.S.** შოთა იამანიძის ამ მცირე მოსაგონარს ერთი ავტორის ხელმოწერა არა სჭირდება, შოთა ყველას გულისტკივილია, ყველასი, ვინც კი იცნობდა ამ ღირსეულ ადამიანს დღეს რომ დაბადებიდან 50 წლისთავი უნდა შესრულებოდა...

ამიტომ:
**ქართველი ფეხბურთის მოყვარულები.**

# შძლიერესი შძლიერესთა შორის

დასასრული

გაბრიჩიძეზე ამ ტურნირში ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. მისი თამაში სპეციალისტებს მოსწონთ და მას საგანგებოდ აკვირდებიან. თბილისელი სპორტსმენის „აქციები" განსაკუთრებით მაშინ გაიზარდა, როცა ცნობილი გახდა, რომ იგი ა. ოლხოვსკისთან ერთად წყვილთა ტურნირის ფინალში გავიდა და ზვერევ — ლეონიუკის დუეტს პირველ ადგილს უნდა შეცილებოდა.

გადამწყვეტმა ორთაბრძოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ეს ინტერესი იმანაც განაპირობა, რომ მანამდე, ერთეულთა თანრიგის ფინალურ შეხვედრაში, ზვერევმა ჩვენი ქვეყნის პირველი ჩოგანი ა. ჩესნოკოვი დაამარცხა და მზად იყო აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ეჩვენებინა.

პირველი პარტიის შემდეგ ჩემპიონი თითქოს ახლოს იყო მიზანთან. ზვერევ — ლეონიუკის წყვილმა ეს პარტია შედარებით ადვილად მოიგო — 6:3, მაგრამ გაბრიჩიძე — ოლხოვსკის დუეტი ბრძოლის დათმობას არ აპირებდა, მეორე პარტია ახალგაზრდებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს და მოიგეს — 6:1. ეს ამ შეხვედრის გადამწყვეტი მომენტი იყო, მესამე პარტიაში ზვერევმა და ლეონიუკმა ერთხანს იბრძოლეს, მაგრამ მეტოქეების მიერ შემოთავაზებულ ტემპს ბოლომდე ვერ გაუძლეს და დამარცხდნენ — 4:6. გაბრიჩიძემ და ოლხოვსკიმ ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

ვლადიმერ გაბრიჩიძეს წარმატება ამ ტურნირში კანონზომიერია და იმ გზის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, რომელსაც ახალგაზრდა ჩოგბურთელი და მისი მწვრთნელი გივი ჩახუნაშვილი ჯერ კიდევ 1981 წელს დაადგნენ. ვლადიმერი 13 წლისა იყო, როცა საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა პირველობაში გამარჯვებით მიიქცია ყურადღება. იგი მაშინვე ჩარიცხეს ჩვენი ქვეყნის ბავშვთა ნაკრებ გუნდში. გადაწყვეტილება სწორი იყო, თუმცა ნორჩი ჩოგბურთელის ოსტატობას დახვეწა სჭირდებოდა.

მომდევნო წლები გაბრიჩიძემ ენერგიულ წვრთნას მოანდომა და სამი წლის შემდეგ სპეციალისტები კვლავ აალაპარაკა — თბილისის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა.

ვლადიმერ გაბრიჩიძე ჯერ მხოლოდ 18 წლისაა. არადა, მან უკვე დაიმკვიდრა ძლიერი და პერსპექტიული ჩოგბურთელის სახელი. მოსწავლეთა XVII სპარტაკიადის ჩემპიონმა და პრიზიორმა (სხვადასხვა თანრიგში) ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებშიც გამოიჩინა თავი. ასეთი სტაბილური შედეგები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გაბრიჩიძე თავის სიტყვას იტყვის დიდ ჩოგბურთში. ამაში გვარწმუნებს ახლახან გამართული ზამთრის საკავშირო ჩემპიონატიც.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 15 მარტი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; საჭადრაკო გამოშვება — **9.00 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **9.30 (1)**; „სპორტლოტოს" ტირაჟი — **10.15 (1)**; მსოფლიო თასი სათხილამურო სპორტში — **11.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში — **17.05 (1)**; სპორტული პროგრამა: 1. მსოფლიო თასი სათხილამურო სპორტში, 2. სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (მინსკი), 3. წყალშიმხტომელთა საერთაშორისო ტურნირი — **18.45 (2)**; საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში — **21.15 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **0.25 (1)**.

**16 მარტი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საფეხბურთო მიმოხილვა — **15.00 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი საციგაო სპორტში — **19.10 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში (საჩვენებელი გამოსვლები) — **19.50 (1)**.

**საქართველოს ტელევიზია. 15 მარტი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) — **20.35**.

**სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ქალთა შორის ● I ლიგა**

# ორიდან—ორი

**განახლდა** პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობა იმ გუნდებისთვის, რომლებიც V-XII ადგილებისთვის ასპარეზობენ. შედგა ორი კვარტეტი, რომლებიც შეხვედრებს თბილისსა და კუიბიშევში ატარებენ: თბილისის ჯგუფში გამოდიან: დნეპროპეტროვსკის „სტალი", როსტოვის „ლოკომოტივი", ფრუნზეს „სტროიტელი" და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი.

სასტარტო მატჩში ჩვენი კალათბურთელები დნეპროპეტროვსკის „სტალს" შეხვდნენ, გუნდს, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. ცხადია, ჩვენი მეტოქე ძლიერი და გამოცდილი სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული და შეხვედრის ბედი სწორედ ამან გადაწყვიტა.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები გაუბედავად მოქმედებდნენ, ხშირად ცდებოდნენ დაცვაში, ამ დღეს მათ არც ზუსტი სროლები გამოსდიოდათ. პირველი ტაიმი „სტალმა" 11 ქულით მოიგო. ეს უპირატესობა მან შესვენების შემდეგაც შეინარჩუნა და საბოლოოდ 16 ქულით გაიმარჯვა — 72:56. სტუმრების გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვ. საგაიდაკოვა, რომელმაც თავის კოლექტივს 25 ქულა შესძინა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მან ხუთჯერ წარმატებით ტყორცნა ბურთი ექვსმეტრიანი ზონიდან, რაც ქალთა შორის იშვიათია.

მეორე დღეს ჩვენი კალათბურთელების მეტოქე როსტოვის „ლოკომოტივი" იყო. ეს შეხვედრა თბილისელებმა უფრო მონდომებით და აზრიანად ჩაატარეს (როსტოველებმა პირველ დღეს გამანადგურებელი ანგარიშით მოუგეს ფრუნზეს „სტროიტელს" — 109:71) და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს — 87:67 (44:29). თბილისელთაგან თავი ო. კორკოტაძემ გამოიჩინა — 24 ქულა.

მეტად დაძაბული გამოდგა დნეპროპეტროვსკისა და ფრუნზეს „სტროიტელის" კალათბურთელთა მატჩი. პირველი ტაიმი „სტალმა" შედარებით ადვილად მოიგო—46:34. საფიქრებელი იყო, რომ შესვენების შემდეგ გუნდი უფრო გააქტიურდებოდა. მოხდა კი პირიქით, „სტროიტელმა" გაათანაბრა თამაში და მეტოქის უპირატესობა საეჭვო გახდა. „სტალმა" ბოლოს მაინც გაიმარჯვა, მაგრამ დიდი გაჭირვების ფასად, მხოლოდ 2 ქულით — 75:73. დნეპროპეტროვსკის გუნდში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი კირილენკო იყო (22 ქულა), „სტროიტელში" — ანტროპკინა (23).

თბილისის ჯგუფის ტურნირს 2 გამარჯვებით დნეპროპეტროვსკის „სტალი" ლიდერობს.

ლ. ფალავანდიშვილი.

საჭადრაკო კომპოზიცია ~~~ ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

## დილარამის მემკვიდრეები

**ჩვენს** წინა გამოშვებაში იმ ქალებზე გესაუბრეთ, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს საჭადრაკო კომპოზიციას. დაპირებისამებრ, დღეს XX საუკუნის წარმომადგენლებს გაგაცნობთ.

ჩვენს საუკუნეში, პრაქტიკული ჭადრაკის განვითარებასთან ერთად გაიზარდა ქალების ინტერესი საჭადრაკო ხელოვნებისადმი. 50-იანი წლებიდან საკომპოზიციო პრესის ფურცლებზე გამოჩნდა ვინმე გაბრიელ ბაუმგარტნერი. იგი ჯერ გაზეთ „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგის" მიერ ჩატარებულ ამოხსნების კონკურსში მონაწილეობდა, შემდეგ კი გაზეთის საჭადრაკო განყოფილების ხელმძღვანელის, ოსტატისა და პრობლემისტის ჰანს იონერის დახმარებით ამოცანების შედგენაშიც მოსინჯა ძალა და არც თუ წარუმატებლად. გამოჩენილი რუმინელი კომპოზიტორის ი. შიფმანის (1903-1930) შემოქმედებითი მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლის შედეგად მან გამოსცა ნაშრომი, რომელმაც ავტორს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. დიდი იყო კომპოზიტორების გაოცება, როცა 1976 წელს ჩატარებულ საერთაშორისო კონგრესზე გაიგეს, რომ ბაუმგარტნერი 43 წლის მანდილოსნის ოდეტა ფოლენვაიდერის ფსევდონიმი იყო. როგორც მანდილოსანმა განმარტა, ნამდვილი სახელი იმიტომ დაფარა, რომ არ სურდა კონკურსის მსაჯები მის მიმართ ლმობიერნი ყოფილიყვნენ. ამჟამად იგი საჭადრაკო კომპოზიციის ფიდე-სთან არსებულ მუდმივ კომისიაში ერთადერთი ქალია და, როგორც შვეიცარიის წარმომადგენელი, აქტიურად მონაწილეობს კომისიის ყოველწლიურ სხდომებში.

პრობლემისტი ქალები არიან ევროპის სხვა ქვეყნებშიც, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი პლეადაა საბჭოთა კავშირში (ე. პეპელიაევა, ე. გორიუნოვა, ნ. ლეონტიევა, ზ. ეივაზოვა და სხვ.), ისინი ზოგჯერ კოლეგა-მამაკაცებსაც კი არ უდებენ ტოლს. ჩვენს რესპუბლიკაში, რომელიც მეოთხედი საუკუნეა, რაც ქალთა ჭადრაკის დედოფლების რეზიდენციას წარმოადგენს მსოფლიოს მასშტაბით, სამწუხაროდ, პრობლემისტი ქალები ჯერჯერობით არ არიან, ჩვენი ქალების ინტერესი საჭადრაკო პოეზიისადმი ჯერჯერობით მხოლოდ ამოცანების ამოხსნით იფარგლება.

ამოსახსნელად გთავაზობთ წამყვანი უკრაინელი პრობლემისტის ნადეჟდა ლეონტიევას სამსვლიან ამოცანას, რომელიც საინტერესო გეომეტრიულ მოტივზეა აგებული.

**ნ. ლეონტიევა, 1968**



შამათი 3 სვლაში

### ამოხსნა

„ლელოს" 15 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი ა. რინკის ეტიუდის (II პრიზი, „ჩესკე სლოვო", 1924. მოგება) ამოხსნა: 1. ეa7 კf1 (სხვაგან წასული კუ უმალ იკარგება) 2. ეa2 კh8 (2. ...კf6 3. ეf2 კe7+ 4. მფb3 კa6 5. მd5+ მფe8 6. მc7+, ან 2. ...კg7 3. ეf2 კa6 4. მe6+ + მფg8 5. ეg2 მოგებით) 3. ეa8+! მფg7. მეფემ დიდი დიაგონალი გადაკეტა და ახლა შეიძლება 4. ეa1! დომინაცია — კუ იკარგება და თეთრები იგებენ.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც სხვებზე ადრე გამოგვიგზავნა პასუხი. პ. ნიშნიანიძე (ახალი თერჯოლა, თერჯოლის რ.), გ. ელიოსიძე (ლიბანი, ბორჯომის რ.), ზ. შურღაია (ნოჯიხევი, ხობის რ.), ქეთინო, ლია და ეკა კანდელაკიშვილები (ძველი ანაგა, სიღნაღის რ.), რ. და ნ. კახიძეები (ბათუმი), რ. ხარბედია, ლ. ჭურღულია (ორივე — ზუგდიდი), ა. წეველიძე (თბილისი).

იხ. „ლელო" № 42.

„ოქროს ბურთის" ლაურეატები

# „ფეხბურთს სიხარული მოაქვს"

**კარლ-ჰაინც რუმენიგე** საბჭოთა მაყურებელმა 1975 წელს გაიცნო, როცა 20 წლის კალემ (ასე ეძახიან ახლობლები) მიუნჰენის „ბაიერნის" შემადგენლობაში ითამაშა კიევის დინამოელთა წინააღმდეგ. მაშინ, სუპერთასისთვის ბრძოლაში, კიეველებმა სძლიეს პირველხარისხოვანი ოსტატებით დაკომპლექტებულ მეტოქეს. დასავლეთგერმანელთა რიგებში გამოდიოდნენ საქვეყნოდ აღიარებული ფეხბურთელები — ბეკენბაუერი, მიულერი, მაიერი, ული ჰიონესი, შვარცენბეკი, როტი და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ მინდორზე ამდენი თვალისმომჭრელი ვარსკვლავი კაშკაშებდა, მაყურებლებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ სტუმართა გუნდის ქერათმიანი მოთამაშე, რომელიც მიუნჰენის სახელგანთქმულ კლუბში სულ ერთი წლის ჩარიცხული იყო. ეს ახალბედა, მიუნჰენელთა გუნდის ძირითადი შემადგენლობის დებიუტანტი კარლ-ჰაინც რუმენიგე, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში 1974 წელს ჩაირიცხა. მანამდე იგი (დაიბადა 1955 წლის 25 სექტემბერს) თავისი მშობლიური ქალაქის ლიპშტადტის საფეხბურთო კლუბში გამოდიოდა. სწორედ ამ გუნდის ერთ-ერთი რიგითი კალენდარული მატჩის დროს იხილა რუმენიგეს თამაში ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა მაქს მერკელმა. გამოცდილი მწვრთნელის რეკომენდაცია „ბაიერნის" მაშინდელი ხელმძღვანელობისთვის, ცხადია, საკმარისი აღმოჩნდა და რუმენიგე ამ კლუბის წევრი გახდა.

1976 წელს დასავლეთგერმანული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი პირველად მიიწვიეს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში. 6 ოქტომბერს დასავლეთგერმანელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს უელსელები. რუმენიგემ ამ მატჩში კარგად ითამაშა და ნაკრების შემადგენლობაშიც დამკვიდრდა.

კარლ-ჰაინც რუმენიგე იმთავითვე გამოირჩეოდა კარგი ფიზიკური მონაცემებით, ორიგინალური, არაშაბლონური აზროვნებით, მოედნის კარგი ხედვით და გოლის გატანის უნარით. ერთი სიტყვით, იგი დაჯილდოებული იყო ყველა იმ თვისებით, რაც აუცილებელია უმაღლესი კლასის ფეხბურთელისთვის და სწორედ ამიტომ, არავისთვის ყოფილა მოულოდნელი, რომ ცოტა ხანში რუმენიგე კლუბშიც და ნაკრებშიც ნამდვილ ლიდერად იქცა.

„რაც თავი მახსოვს, სულ თავდამსხმელად ვთამაშობ. გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, ფეხბურთელი წინ არის წაწეული თუ



ოდნავ უკან დახეული უტევს მეტოქის კარს. მთავარია, მისი ყოველი მოქმედება მეტოქის კარის დალაშქვრას ემსახურებოდეს", — კარლ-ჰაინც რუმენიგეს ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს ფეხბურთელის ხასიათი, მისი მრწამსი, თუმცა, იგი იქვე დასძენს: „...ეს არ გამორიცხავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს, შეიძლება „ლიბეროს" როლშიც მიხილოთ".

1980 წელს დასავლეთ გერმანიის ნაკრებმა მეორედ დაიმსახურა ევროპის ჩემპიონის ტიტული, ხოლო გუნდის საუკეთესო მოთამაშეს კარლ-ჰაინც რუმენიგეს კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული „ოქროს ბურთი" გადაეცა. მომდევნო, 1981 წელს რუმენიგე კვლავ დაასახელეს „ძველი სამყაროს" № 1 ფეხბურთელად და ფრანგული ყოველკვირეულის „ფრანს ფუტბოლის" პრიზიც მასვე დარჩა.

ერთხელ, როცა რუმენიგე უკვე 30 წლისა იყო, ერთ-ერთ ინტერვიუში ჰკითხეს: რა განსხვავებაა დღევანდელ და ათი წლის წინანდელ რუმენიგეს შორისო? „მე ნამდვილ პროფესიონალად ვიქეცი,— უპასუხა სპორტსმენმა, — გული ძველებურად მიმიწევს მეტოქის კარისკენ, მართალია, ახლა უფრო ხშირად მიხდება ისეთი ფუნქციის შესრულება, რომელიც მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, მაგრამ ვგრძნობ, რომ გუნდის ინტერესებისთვის ასეა საჭირო. თუმცა, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ფეხბურთს ჩემთვის კვლავინდებურად უდიდესი სიხარული მოაქვს".

კარლ-ჰაინც რუმენიგეს თამაშს მისი ტალანტის მილიონობით თაყვანისმცემლისთვისაც მრავალჯერ მოუტანია სიხარული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან კალეს მსგავსი ნიჭის მქონე ფეხბურთელები იშვიათად იბადებიან. ერთხელ ერთ-ერთმა დასავლეთგერმანულმა სპორტულმა გაზეთმა მის შესახებ დაწერა: „რუმენიგე ბლოხინივით სწრაფია, ხრუბეშივით ძლიერი, პლატინივით ტექნიკური, მიულერივით სახიფათო, კიგანივით კორექტული და ბეკენბაუერივით ელეგანტური..."

სწორედ ამაზე ითქმის, ყოველგვარი კომენტარი ზედმეტიაო!

ზურაბ ფოცხვერია.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

**თბილისის სამოგზაურო-საექსკურსიო ბიურო გთავაზობთ საინტერესო მარშრუტებს:**

საგაზაფხულო არდადეგების დღეებში (22 მარტიდან): 8-დღიან საგზურებს **ფასანაურის ახალ კომფორტულ სასტუმრო „არაგვში"**. საგზური ღირს 66 მანეთი.

მთის თვალწარმტაცი კოლორიტი, საუცხოო ჰაერი, ექსკურსიები უთუოდ საინტერესოს და სახალისოს გახდის თქვენს დასვენებას. საგზურის ღირებულებაში შედის ცხოვრება სასტუმროში (2 და 4-ადგილიან ნომრებში), სამჯერადი კვება, მგზავრობა ავტობუსით თბილისიდან ფასანაურამდე და უკან.

1-დან 9 აპრილის ჩათვლით: **ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი"**, მარშრუტით: თბილისი — კრასნოდარი — პიატიგორსკი — გროზნო — ბაქო — ერევანი — თბილისი. საგზური ღირს 99 მანეთი.

საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა კუპირებული ვაგონით, სამჯერადი კვება ვაგონ-რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება ქალაქებში.

მიიღება კოლექტიური და ინდივიდუალური შეკვეთები. საგზურები იყიდება როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ბიუროს სარეალიზაციო განყოფილებაში.

გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას!

ჩვენი მისამართია: თბილისი, მეტეხის აღმართი № 4. ტელ: 74-40-67.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო";

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06828